

## პროფესიულ სტუდენტთა და მშობელთა უფლება - მოვალეობანი

### მუხლი 1. პროფესიულ სტუდენტთა უფლებები

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი განათლება;
- ბ) ჰქონდეს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო;
- გ) მოითხოვოს სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
- დ) მიიღოს ინფორმაცია სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის გრაფიკის შესახებ;
- ე) თავისუფლად გამოთქვას აზრი;
- ვ) იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;
- ზ) გაასაჩივროს მის მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება.

### მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა მოვალეობები

პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაემორჩილოს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს;
- ბ) ღროულად, დადგენილი გრაფიკით გადაიხადოს სწავლის საფასური;
- გ) პატივისცემით მოექცეს პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს;
- დ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას, მისი დაზიანების შემთხვევაში ანაზღაუროს მიყენებული ზარალი;
- ე) დაიცვას კოლეჯის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული ინვენტარითა და მექანიზმებით სარგებლობის დაწესებული მოთხოვნები და შეასრულოს ინსტრუქციები, რომლებიც ადგენენ შენობაში ქცევის წესებს;
- ვ) უმიზეზოდ არ დააგვიანოს ლექციაზე;
- ზ) ჩაიცვას საქმიანად, მისი გარეგნული იერი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო ატმოსფეროს;
- თ) შეასრულოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წევრების მოთხოვნები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს;

### მუხლი 3. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) უფლებები

მშობელს (სხვა კანონიერ წარმომადგენელს) უფლება აქვს:

- ა) მოითხოვოს სასწავლო პროცესში მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
- ბ) მიიღოს ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ადმინისტრაციისაგან კოლეჯის ფუნქციონირების ნებისმიერ საკითხზე;
- გ) მიიღოს ინფორმაცია შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური დარღვევების შესახებ;
- დ) მოითხოვოს შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინური დარღვევების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა;
- ე) მოითხოვოს კოლეჯში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ვ) გაასაჩივროს მისი შვილის (მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება.

### მუხლი 4. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) მოვალეობები

მშობელი (სხვა კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია:

- ა) დაიცვას კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები;
- ბ) დროულად, კოლეჯის მიერ დადგენილი გრაფიკით დატაროს შვილის (მეურვის) სწავლის საფასური;
- გ) ითანამშრომლოს და მოთხოვნის შემთხვევაში გამოცხადდეს კოლეჯში;
- დ) ანაზღაუროს კოლეჯისადმი შვილის (მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის) მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი;
- ე) კოლეჯის ადმინისტრაციასთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ურთიერთობისას დაიცვას ეთიკის ნორმები.

### მუხლი 5. საჩივრის განხილვის პროცედურა

1. პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელს) შეუძლია საჩივრით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.

2. საჩივარი შესაძლოა იყოს ზეპირი ან წერილობითი ფორმის.
3. პრობლემური საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე და მის გადასაჭრელად საკითხი შესაძლოა განხილულ იქნას კოლეგიურად. საკითხის განხილვის შედეგად თანამშრომლის ან/და პროფესიული სტუდენტის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

## მუხლი 6. უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დაცვა

1. კოლეჯი, თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი სწავლისათვის უსაფრთხო პირობების შექმნას;
2. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსა და სხვა სახის დაზარალების დაცვისა და სხვა წესების შესახებ და თავად ახორციელებს მუდმივ კონტროლს ყველა მათგანის შესრულებაზე.
3. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას. ამისათვის ფუნქციონირებს სამედიცინო დახმარების კუთხე, აღჭურვილი პირველადი დახმარების მედიკამენტებით და სხვა საჭირო საშუალებებით.